საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2651
13/04/2023

2651-21-2-202304131444

შპს „საბადოს“
მის: ქ. თბილისი, გლდანი, მე-4 მკ. კორპ. 180/24
ელ. ფოსტა: environmental.sc4@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2261 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების სატიტულო გვერდზე მითითებულია მხოლოდ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა–ხრეში) გადამამუშავებელი საწარმო. ვინაიდან, კომპანიის მიერ დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაც, რაც წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 6.3 ქვეპუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას, სატიტულო გვერდი საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებას თან ახლავს უახლოეს მოსახლესთან შეთანხმების დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც შეთანხმება მოხდა გიორგი ლეკბორაშვილთან. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ მოცემულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 67.12.43.009) არსებული სახლის მესაკუთრე არის მიხეილ ლეკბორაშვილი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმო განთავსებულია კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 67.12.43.000.079), რომელსაც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს შპს „საბადო“. სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს სარგებლობის უფლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საწარმოო ჩამდინარე წყლების მოცულობა დანაკარგის გათვალისწინებით. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები;
- წარმოდგენილ დოკუმენტში განხილული არ არის საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხი;

- სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის მდ. მტკვრიდან წყალაღებისთვის გათვალისწინებული ტუმბოების წარმადობის და მილების შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტის თანახმად, ტერიტორიაზე მოწყობილია მრავალსაფეხურიანი სალექარი, თუმცა, წარმოდგენილი არ არის სალექარის მოცულობა და თითოეული საფეხურის პარამეტრები, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ობიექტის ნედლეულით მომარაგებისა და პროდუქციის გატანისათვის საჭირო სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის შესახებ;
- დოკუმენტში წარმოდგენილია მხოლოდ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი შეფასება, თუმცა მოცემული არ არის ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ხარისხობრივი მაჩვენებლები უახლოეს მოსახლესთან მიმართებაში;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე წარმოქმნილი შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტებისა და სანიაღვრე წყლების შემდგომი მართვის საკითხი;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ნავთობპროდუქტების საცავის სასუნთქი სარქველებით აღჭურვისა და შევსების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში გენგეგმაზე წარმოდგენილი ინფორმაცია არ იკითხება და საჭიროებს დაზუსტებას;
- საჭიროა დოკუმენტში მოცემული იყოს ინფორმაცია მდინარე მტკვარზე წყალდიდობისა და იშვიათი განმეორადობის წყალმოვარდნის შემთხვევაში ობიექტზე ზემოქმედების ალბათობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო